



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური  
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, მაგისტრატურა  
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
16.08.2021 წ.  
დასკვნის წარდგენის თარიღი  
8.09.2021 წ.

თბილისი  
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები/Earth Sciences
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული № 373, 25 ნოემბერი 2011

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კელეკტრიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ ღვინჯილია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბრეგვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

#### ○ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია და GIS ტექნოლოგიები)”, რომელმაც აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს, მოიცავდა სამ მიმართულებას და ითვალისწინებდა ერთ-ერთი მიმართულებით შესაბამისი სამაგისტრო ხარისხის მინიჭებას. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში სასწავლო პროგრამა მოდიფიცირდა და ჩამოყალიბდა, როგორც „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, რომელიც ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარდგენილ მაგისტრატურის პროგრამაში “დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები” განახლდა პროგრამის მიზნები, სტრუქტურა, დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა.

#### ○ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად (MES 2 20 00474358, 16.06.2021), რომლის მიხედვით განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ა) შალვა კელეპტრიშვილი (თავმჯდომარე); ბ) ნინო ქიმერიძე (წევრი); გ) გიორგი ბრეგვაძე (წევრი); დ) მალხაზ ღვინჯილია (წევრი); ე) ნიკა გიგაური (წევრი). აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონ-ლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება.

ვიზიტი უნივერსიტეტში დაიწყო 2021 წლის 16 აგვისტოს 10:00 სთ-ზე. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ინტერვიუ შემდეგ ჯგუფებთან:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
2. თვითშეფასების ჯგუფთან;
3. პროგრამის ხელმძღვანელთან;
4. აკადემიურ პერსონალთან;
5. მოწვეულ პერსონალთან;
6. სტუდენტებთან;
7. კურსდამთავრებულებთან;
8. დამსაქმებლებთან;
9. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით. კერძოდ,

**სტანდარტი 1.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 1.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 1.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 2.** - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 2.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.2. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.3. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.4. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.5. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. - შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**სტანდარტი 3.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 3.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 3.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 4.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 4.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 4.4. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**სტანდარტი 5.** - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- 5.1. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.2. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 5.3. - შეფასებულია, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

○ რეკომენდაციები

**სტანდარტი 2**

- „სამაგისტრო ნაშრომში“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები, ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.
- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
- რეკომენდებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობას;
- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1<sup>1</sup> მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**სტანდარტი 1**

- სასურველია დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა.

**სტანდარტი 2**

- სასურველია დაკორექტირდეს წინაპირობის ჩანაწერი და მიეთითოს ენობრივი კომპეტენციის დონე B1+, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ენობრივ კომპეტენციას B1.2 და B2.1 დონეებს შორის;

- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსების „ლითოლოგია და სედიმენტოლოგია“ და „ზემოქმედების შეფასება“ დასახელებებში;
- სასურველია, სასწავლო კურსებში, სადაც ინტეგრირებულია სავლე პრაქტიკები, ჩანდეს, სავლე პრაქტიკების ობიექტები;
- სასურველია სასწავლო კურსიდან „პეტროლოგია“ ამოღებულ იქნას მე-6 და მე-7 კვირის თემატიკა, რომელიც ეხება დანალექი ქანების შესწავლას;
- სასურველია სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასურველია სასწავლო კურსებისათვის „აკადემიური წერა“ და „საწარმოო პრაქტიკა“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები;
- სასურველია სასწავლო კურსში „დედამიწის გეოლოგიური ისტორია“ შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელება და შინაარსი;
- სასურველია, რომ მიმდინარე შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი მინიმუმ იძლეოდეს დამატებით გამოცდაზე გასასვლელად საჭირო FX შეფასებას.
- სასურველია, რომ დამატებით გამოცდაზე გასვლის შესახებ დეტალური ინფორმაცია გარდა მარეგულირებელი დოკუმენტისა თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსშიც მიეთითოს.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად.

### **სტანდარტი 3**

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას და გაფორმებას, განსაკუთრებით ციტირების უნიფიცირებული სტილის დაცვის მიმართულებით.
- სასურველია დადგინდეს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა უფლებამოსილმა პირმა.

### **სტანდარტი 4**

- სასურველია პროგრამისთვის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების მომზადება-განახლება.

### **სტანდარტი 5**

- სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის პროგრამული სისტემა "არგუსი" (არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა).

○ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები (დაკვნის თარიღი: 25/11/2011) ამგვარად გამოიყურება:

- უნივერსიტეტის ადმინისტრირების მიდგომების მიხედვით, დეკანი წარმოადგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თითოეული პროგრამისთვის დამატებით შეირჩეს პროგრამის თანახელმძღვანელი, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების შემდგომ დახვეწას და პერსპექტიულ განვითარებას.

- სასურველია გეგმიურად გაიწეროს შუალედური გამოცდები/კოლოქვიუმები და საბოლოო გამოცდა.

- სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში წინაპირობები გაიწეროს სამაგისტრო პროგრამაში მოცემული კონკრეტული სხვა საგნების დასახელებების მიხედვით ან სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებით.

- სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლის მიზნები და შედეგები ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი ფრაზებით და სასურველია მათი დაკონკრეტება სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.

- სასწავლო კურსის დასახელებებში გამოვლენილია უზუსტობები. კერძოდ პროგრამაში მოცემულია „მყარი ტანის ფიზიკა 1“ და „მყარი ტანის ფიზიკა 2“, ხოლო სილაბუსში იგივე საგნები წარმოდგენილია შესაბამისად „შესავალი მყარი ტანის ფიზიკაში I“ და „შესავალი მყარი ტანის ფიზიკაში II“.

- ზოგიერთ სილაბუსში სასწავლო თემები წარმოდგენილია გამსხვილებული სახით, კერძოდ ერთი თემა გაწერილია 2 კვირაზე. სასურველია, თემები გაიწეროს კვირების მიხედვით და მოხდეს პროგრამის ყველა სილაბუსის სისტემატიზაცია.

- წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ეხმიანება თანამედროვე აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს და ზოგიერთ სილაბუსში სასურველია, დამატებული იქნას შესაბამისი უახლესი ლიტერატურა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

**მოსაზრებები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინასწარი დასკვნის მიმართ არგუმენტირებულ პოზიციებთან დაკავშირებით**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ ინსტიტუციის მიერ პირველი რეკომენდაცია და რამოდენიმე რჩევა გასწორებულია და ვთვლით, რომ ეს გასწორება მისაღებია. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებზე არგუმენტირებულ პოზიციებს, ექსპერტთა ჯგუფი მას არ ეთანხმება და ჩვენს მოსაზრებებს წარმოვადგენთ ზეპირი მოსმენის დროს.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა და უნარები, რომელთა განვითარება გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მიზანი უზრუნველყოფს:

პროფესიონალი კადრების მოამზადებას, რომელთაც აქვთ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სისტემური და სიღრმისეული ცოდნა;

დარგში თანამედროვე კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებული პრაქტიკულ უნარებისა და უახლესი ტექნოლოგიების დაუფლებას;

გეო პროცესების მონიტორინგს და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შეფასებას.

პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის მთავარი პრინციპია კვლევის და სწავლების ინტეგრაციით ახალი ვალიდური ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამისათვის შრომის ბაზრის კვლევის მიზნით შექმნილმა ფოკუს-ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა პოტენციური დამსაქმებლებისა და პროგრამის კურსდამთავრებულებისაგან შეისწავლა დარგში არსებული ტენდენციები. პროგრამის მიზნებში პრიორიტეტულად ჩაითვალია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე შეძლებდა დარგში არსებული თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ღირებული კვლევის ჩატარებას დედამიწის, როგორც ერთიანი კომპლექსური სისტემის მიმართ.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის კურსდამთავრებულთა 70% დასაქმებულია სპეციალობით, ხოლო კურსდამთავრებულთა ნაწილი სწავლას აგრძელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე. სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაშია დარგის და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან.

სამაგისტრო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“ უზრუნველყოფს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას სამეცნიერო-კვლევით, საჯარო დაწესებულებებში ან ნებისმიერ არასამთავრობო თუ კერძო კომპანიაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებთან. პროგრამის ორიენტაციას დასაქმების ბაზარზე აძლიერებს ის გარემოება, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა



ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი,” რომელიც წარმოადგენს საქართველოში აღნიშნულ დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ერთ-ერთ მოწინავე ცენტრს და დამსაქმებელს. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებგვერდისა ([www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)). პროგრამის მიერ დასახული მიზნები გამჭვირვალეა, მიღწევადია და მიმართულია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2>
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში
- დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის ანგარიში
- საერთაშორისო ანალოგი პროგრამების სია
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) საკვალიფიკაციო დონის აღმწერთან.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ნათლადაა ჩამოყალიბებული, არის მიღწევადი, გაზომვადი, რეალისტური და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში, რომელიც მოიცავს თეორიებს, თანამედროვე მიღწევებსა და მეთოდებს (მათ შორის ტექნოლოგიებს) და მათ გამოყენებას პროფესიულ პრაქტიკასა და კვლევაში;
2. შეუძლია ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების, რისკების, მათი გამომწვევი მიზეზების და იმ ფაქტორების განსაზღვრა და შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ დედამიწის ზედაპირზე და სიღრმეში მიმდინარე გეო პროცესებზე;
3. შეუძლია დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში თანამედროვე ტექნოლოგიების, კერძოდ, გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS), სივრცითი მონაცემების ვიზუალიზაციისა და ანალიზის, სატელიტური და აერო გამოსახულებების ანალიზის მეთოდების გამოყენება, მათ შორის აგეგმვის მიზნით;
4. შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს რელევანტური თეორიები, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდები და/ან მათემატიკური მოდელირება დედამიწის წიაღში ან მის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების/ფენომენის კვლევის მიზნით;
5. კვლევისას და პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად;
6. იცავს უსაფრთხოების წესებს ლაბორატორიული და საველე მუშაობისას;
7. შეუძლია საკუთარი კვლევის შედეგების, იდეებისა და მოსაზრებების ეფექტური ვიზუალიზაცია და გადმოცემა აკადემიური/პროფესიული საზოგადოებისა და ფართო აუდიტორიის წინაშე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
8. შეუძლია სწავლის და კვლევის საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი პროცესების დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესს, ასევე პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას და სამიზნე ნიშნულებს.

სწავლის შედეგების, პროგრამის კომპონენტებისა და სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობა ნათლადაა გადმოცემული სამიზნე ნიშნულების რუკაზე. თუმცა, აღნიშნული რუკა სასურველია დაკორექტირდეს, რადგან სამიზნე ნიშნულების განსაზღვრაში გამოყენებულ პროგრამის კომპონენტებში ფიგურირებს სასწავლო კურსები არჩევითი ბლოკიდან (ვულკანოლოგია, სივრცითი მონაცემების ანალიზი და მოდელირება გეოსაინფორმაციო სისტემებში). თუ სტუდენტებმა აღნიშნული სასწავლო კურსები არ გაიარეს, პრობლემა იქნება მეორე და მესამე სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრაში. სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსების შეცვლა სავალდებულო სასწავლო კურსებით.

პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელს, მის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს პროგრამის კურიკულუმის ექსპერტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამაში მომუშავე პერსონალისათვის პროგრამის შეფასების საკითხებზე შემუშავებულია ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- დამსაქმებლის ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- საერთაშორისო ანალოგი პროგრამების სია
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დაკორექტირდეს სამიზნე ნიშნულების რუკა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესს. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მოხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. კანდიდატმა უნდა გამოავლინოს დედამიწის შემსწავლელი სამეცნიერო საკითხების ზოგადი ცოდნა, დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა, მოტივაცია და კომუნიკაციის უნარი, ასევე ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე. დარგობრივი ცოდნის გარდა კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს თავისი აკადემიური მიღწევები, რომელთა დასადასტურებლად უნდა წარმოადგინოს პროფესიული ბიოგრაფია (CV) აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგების მითითებით.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის ან სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში, ასევე, საინფორმაციო ტექნოლოგიებში.</p> <p>ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „მიღება“ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.</p>
---

პროგრამის პოპულარიზაციის და აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს პოტენციურ მაგისტრანტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამავე მიზნით 2020 წლიდან უნივერსიტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.

სასურველია დაკორექტირდეს წინაპირობის ჩანაწერი, რომელიც ეხება უცხოური ენის კომპეტენციის განსაზღვრას და მიეთითოს ენობრივი კომპეტენციის დონე B1+, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ენობრივ კომპეტენციას B1.2 და B2.1 დონეებს შორის, რომელიც თავსი მხრივ გულისხმობს ენციკლოპედიური ცოდნის გააქტიურებას ვიდრე დარგობრივი ტექსტების გაგებამდე, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროსაც.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა
  - პროგრამაზე მიღების დოკუმენტი
  - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი
  - ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია დაკორექტირდეს წინაპირობის ჩანაწერი და მიეთითოს ენობრივი კომპეტენციის დონე B1+, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ენობრივ კომპეტენციას B1.2 და B2.1 დონეებს შორის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** -

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -**

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით.

კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, საწარმოო პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომისგან. სასწავლო კურსებში ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია სავალდებულო კურსები, რომელთაგან კურსები „კვლევის მეთოდები დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებებში“ და „აკადემიური წერა“ წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობას. პროგრამას ახლავს კომპეტენციათა რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის.

#### **პროგრამის სტრუქტურა (120 კრედიტი)**

o სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი;

o საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი;

o სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი

o არჩევითი კურსები - 30 კრედიტი

პროგრამაში შემავალი სასწავლო, პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრული და ლოგიკურია, საჭიროების შემთხვევაში კომპონენტებში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები. საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის არსებობა პროგრამაში ხელს უწყობს მის მეტ ორიენტაციას დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე.

პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სასწავლო კურსების კატალოგი და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge) დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამაში „სამაგისტრო ნაშრომს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, მაშინ როდესაც სავალდებულო სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“ ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პარალელურად (მე-4 სემესტრი). აუცილებელია დაშვების წინაპირობები დაკორექტირდეს და ამოღებულ იქნას „საწარმოო პრაქტიკა“.

სასწავლო კურსში „აკადემიური წერა“, რომელიც იკითხება მესამე სემესტრში, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია -ციტ.: „სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 60 კრედიტი“, ანუ ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პირველი კურსის 10 საგანი. გაუგებარია აღნიშნული სასწავლო კურსის ასეთი დატვირთვა, რადგან შინაარსიდან გამომდინარე მას არ აქვს უშუალო კავშირი პირველი და მეორე სემესტრის სასწავლო კურსებთან.

სასწავლო კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია - ციტ.: „სტუდენტს დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 78 კრედიტი“. ამ ჩანაწერიდან გაუგებარია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების რა კომბინაციით დაითვლება აღნიშნული რაოდენობის კრედიტები. უკეთესი იქნებოდა დაშვების

წინაპირობად განსაზღვრულიყო სავალდებულო სასწავლო კურსები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები
- უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- „სამაგისტრო ნაშრომში“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები, ამოღებულ იქნას სასწავლო კურსი „საწარმოო პრაქტიკა“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსებისათვის „აკადემიური წერა“ და „საწარმოო პრაქტიკა“ დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული კურსის სილაბუსში მითითებულია სწავლების მეთოდები და აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტებით და კრიტერიუმებით ხდება კურსის მიზნებით განსაზღვრული სწავლის თითოეული შედეგის შეფასება. კურსების სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამისობაშია ამ კურსების სწავლის შედეგებთან.

სწავლების საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამაში თეორიული ცოდნის ტრანსფერთან ერთად აქცენტი კეთდება კვლევითი უნარების, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის უნარის განვითარებაზე, საველე და ლაბორატორიულ კვლევებზე.

თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კურსების შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს: კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს.

სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდერების სახით არგუსზე ან elearning- ზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან უნივერსიტეტის ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით).

კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

თუმცა, სასწავლო კურსების მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსების „ლითოლოგია და სედიმენტოლოგია“ და „ზემოქმედების შეფასება“ დასახელებებში;

სასწავლო კურსში „პეტროლოგია“ მე-6 და მე-7 კვირის თემატიკა, რომელიც ეხება დანალექი ქანების შესწავლას, სასურველია ამოღებულ იქნას, რადგან ეს საკითხები საკმაოდ დეტალურადაა განხილული სასწავლო კურსში „ლითოლოგია და სედიმენტოლოგია“, რომელიც მთლიანად ეძღვნება დანალექ ქანებს;

სასწავლო კურსებში, სადაც ინტეგრირებულია საველე პრაქტიკები, ძირითადად არაა მითითებული პრაქტიკის ობიექტები. სასურველია, სასწავლო კურსებში ჩანდეს, თუ სად ტარდება საველე პრაქტიკები;

სასწავლო კურსში „დედამიწის გეოლოგიური ისტორია“ ძირითადი აქცენტი გადატანილია დედამიწის წარმოშობის საწყის ეტაპზე და ნაკლები ინფორმაციაა



დედამიწის განვითარების დანარჩენ ეტაპებზე. ასევე, მე-14 კვირა ეთმობა კავკასიის გეოლოგიურ ისტორიას, რომელიც საკმაოდ დეტალურადაა გაშლილი სასწავლო კურსში „რეგიონული გეოლოგია“. სასწავლო კურსში ინტეგრირებულია პრაქტიკა (10 სთ.), რომელიც შეიძლება ამოვიღოთ, რადგან, ჩვენი აზრით, პრაქტიკის თემატიკას ამ საათებით სტუდენტი ვერ შეასრულებს. სასურველია, გამოთავისუფლებული საათები დაეთმოს დედამიწის გეოლოგიურ ისტორიის განხილვას ცალკეული ერების (თუ შესაძლებელი იქნება პერიოდების) მიხედვით;

სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ მისი ფორმატი განსაზღვრულია შემდეგნაირად: სტუდენტის დავალება შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო ლიტერატურის ან არსებული მასალების ანალიზს/მიმოხილვას, ორგანიზაციაში წარმოებულ ლაბორატორიულ თუ სხვა საკმედიანობაში ჩართულობას, და ამ საკმედიანობით მიღებული მონაცემების ანალიზს, შეჯერებას, ცხრილების, რუკების და სხვა სადემონსტრაციო მასალის მომზადებას. ამ აქტივობებისთვის სტუდენტისთვის პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციაში გამოყოფილი საკონტაქტო საათები (სულ 28) სავარაუდოდ არასაკმარისი იქნება შედეგის მისაღწევად.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მათი ნაწილი არ იძლევა დაკვირვების, გაზომვის შესაძლებლობას, აღწერილია სხვადასხვა დროში (მაგ. სტუდენტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ..... იცის ..... ფლობს ..... აქვს ცოდნა ..... შეუძლია ..... შესწავლილი აქვს ..... განვითარებული აქვს .....). საჭიროა გასწორდეს ჩამოთვლილი შეუსაბამობები და კომპეტენციები გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სწავლის შედეგების რუკა
- პროგრამის კურსების სილაბუსები
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი <http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/>
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - <http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniro-bazebi/>
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი - <http://elearning.iliauni.edu.ge>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - [iliauni.edu.ge](http://iliauni.edu.ge)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსების შეფასებისთვის
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სასწავლო კურსიდან „პეტროლოგია“ ამოღებულ იქნას მე-6 და მე-7 კვირის თემატიკა, რომელიც ეხება დანალექი ქანების შესწავლას;
- გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსების „ლითოლოგია და სელიმენტოლოგია“ და „ზემოქმედების შეფასება“ დასახელებებში;
- სასურველია, სასწავლო კურსებში, სადაც ინტეგრირებულია საველე პრაქტიკები, ჩანდეს, საველე პრაქტიკების ობიექტები;
- სასურველია სასწავლო კურსში „საწარმოო პრაქტიკა“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასურველია სასწავლო კურსში „დედამიწის გეოლოგიური ისტორია“ შესაბამისობაში მოვიდეს კურსის დასახელება და შინაარსი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც აუცილებელია სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. ეს ითვალისწინებს როგორც ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობას, ასევე საველე/ლაბორატორიული და გეოსაინფორმაციო სისტემებთან მუშაობის თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნას და გამოყენებას. აგრეთვე მიღებული მონაცემების დამუშავების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.

სტუდენტები ჩაერთვებიან „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და სეისმური

მონიტორინგის ეროვნული ცენტრის”, „კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრის” კვლევებში, შეძლებენ გამოიყენონ უნივერსიტეტის კამპუსის ტერიტორიაზე განთავსებული ლაბორატორიების (გარემოს კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, გრუნტების ლაბორატორია). სტუდენტებს აქვთ საშუალება ჩაერთონ პრაქტიკული სამუშაოებში სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის სადგურებზე მთელი საქართველოს მასშტაბით. თვითშეფასებაში მითითებულია, რომ უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი საველე და სასწავლო-კვლევითი ბაზები ახალქალაქში, სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროსა და გრიგოლეთში, მაგრამ სასწავლო კურსებში მითითებული საველე პრაქტიკები ტარდება მხოლოდ თბილისში, აღნიშნულიდან გამომდინარე არ ჩანს ამ ბაზების ფუნქცია პროგრამასთან მიმართებაში.

უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც ეცნობა სტუდენტი ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე.

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- o ბრიჯვოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკის შეერთებული შტატები (2021 წ.) 5 წლით;
- o მრავალპროფილიანი საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“ (2020 წ.), 7 წლით;
- o შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“ (2020 წ.), 7 წლით;
- o სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი“ (2018 წ.), უვადო;
- o სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (2021 წ.), 5 წლით.

მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმები, გაფორმებული შპს „გამა კონსალტინგთან“ და „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ გეოგრაფიკთან“ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას, აუცილებელია სტუდენტთა რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება, რათა ნათლად გამოჩნდეს, თუ რისი შესაძლებლობა აქვს მიძღვებ მხარეს. სასურველია ასევე სხვა მემორანდუმებში მკაფიოდ იყოს გამოხატული პარტნიორი ორგანიზაციის მზაობა სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე მიღების შესახებ, მათი რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით. მემორანდუმი ბრიჯვოთერის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ითვალისწინებს ბაკალავრიატის სტუდენტების სემესტრულ გაცვლას ორ უნივერსიტეტს შორის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- o ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- o სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- o რეკომენდებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების და შეთანხმებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკაზე სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას და ჩასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობას;

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
-
<b>შეფასება</b>
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სამაგისტრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების დროს გამოიყენება: ლექციები და სემინარები; ლაბორატორიული სამუშაო; პრაქტიკული სამუშაო, მათ შორის ველზე; პროექტზე მუშაობა ინდივიდუალურად და ჯგუფებში; ანალიზი და სინთეზი; სუპერვიზია; რეფლექსია; დემონსტრირების მეთოდი.</p> <p>სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გათვალისწინებულია აგრეთვე, ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე, აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით დაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების</p>

ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია, როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე, შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას, რაც დასტურდება დაინტერესებულ პირთა გამოკითხვების ანალიზით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- სასწავლო კურსების შეფასების კითხვარი
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი - <http://writingcentre.iliauni.edu.ge/>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის მიხედვით, დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორცაა წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, თუმცა მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა ერთ გარემოებაზე, რომ სასწავლო კურსების თითქმის უმეტესობაში (გარდა „აკადემიური ინგლისური ენა“, „აკადემიური წერა“, „ზემოქმედების შეფასება“) შეფასების მეთოდები მოიცავს ბუნდოვან შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, მაგალითისთვის სასწავლო კურსში „დედამიწის სისტემები და გარემო“ საველე პრაქტიკაში აქტიური ჩართულობა ფასდება 6 ქულით, რომლის გასაზომადაც მოცემულია შემდეგი რუბრიკა:

საუკეთესო	ძალიან კარგი	კარგი, მცირე ხარვეზებით	დამაკმაყოფილებელი	ცუდი/არ არის შესრულებული
6	5-4	3	2-1	0

შესაბამისად, ბუნდოვანია როდის იღებს სტუდენტი 6 ქულას და რას ნიშნავს „საუკეთესო“ - სილაბუსში არ არის განმარტებული შესაბამისი კრიტერიუმები, ასევე უცნობია რა შემთხვევაში მიიღებს სტუდენტი 3 ქულას და როდის 2 ქულას, რადგან არ ჩანს განსხვავება „კარგ, მცირე ხარვეზებითა“ და „დამაკმაყოფილებელ“ შეფასებას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და და 1<sup>1</sup> მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური

კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის მიხედვით, დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის მაქსიმალური ქულის 60%, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებით. ამასთან, **სასურველია**, რომ მიმდინარე შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი მინიმუმ იძლეოდეს დამატებით გამოცდაზე გასასვლელად საჭირო FX შეფასებას.

ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი უსდ-სგან იღებს სათანადო მხარდაჭერას, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ტრენინგ-მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული თანამშრომლობა გათვალისწინებულია Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL, ASSET).

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და შეფასების სისტემით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღება. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტის მიერ FX შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში, ამასთან **სასურველია**, რომ დამატებით გამოცდაზე გასვლის შესახებ აღნიშნული ინფორმაცია გარდა მარეგულირებელი დოკუმენტისათვის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსშიც მიეთითოს.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

ფარგლებში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა, რომელიც ერთჯერადად, დასრულების შემდეგ ფასდება ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ, რის შემდეგაც სტუდენტი ნაშრომს წარადგენს საჯარო დაცვაზე სადაც კომისიური წესით ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პრობლემის წარმოჩენა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვების/ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდის და გამოყენებული მონაცემების შესაბამისობა კვლევის მიზანთან, მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია, არგუმენტაციის ლოგიკურობა, დასკვნის სისწორე და სხვა. აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პლაგიატის აღმოჩენის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები მეტწილად არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი“, ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ასევე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას. ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც დასტურდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესით, რომლის მიხედვითაც სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რასაც დეკანის ბრძანების საფუძველზე განიხილავს დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან, საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საპრეტენზიო განაცხადში მითითებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასების სისწორეზე და 3 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება: ა) სტუდენტისთვის ქულის მომატების შესახებ; ბ) სტუდენტისთვის ქულის დაკლების შესახებ; გ) სტუდენტისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმით. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება თუ რამდენად ინფორმირებული იყო სტუდენტი წინასწარ შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა „არგუსში“, იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სხვა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის



და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC) სამოქმედო გეგმა
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტი კურსების შეფასებისთვის
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის და 1<sup>1</sup> მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად, ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდი/მეთოდები მოიცავდეს გაზომვად კრიტერიუმებსა და დეტალურ რუბრიკებს, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ მიმდინარე შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ჯამი მინიმუმ იძლეოდეს დამატებით გამოცდაზე გასასვლელად საჭირო FX შეფასებას.
- სასურველია, რომ დამატებით გამოცდაზე გასვლის შესახებ დეტალური ინფორმაცია გარდა მარეგულირებელი დოკუმენტისა თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსშიც მიეთითოს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები და აუდიტორია შეთანხმდება სემესტრის დასაწყისში და სტუდენტებს ეცნობებათ „არგუსის“ საშუალებით. ამასთან, გასაუბრების პროცესში პროგრამის სტუდენტებმა

აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები უნივერსიტეტის და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის არსებობს კარგად გამართული პროგრამული სისტემა "არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. აღნიშნული სისტემის საშუალებით, სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. „არგუსში“ ხდება როგორც დასკვნითი, ასევე შუალედური შეფასებების ასახვა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები კურსის თითოეულ კომპონენტში და დაგეგმოს სწავლის შედეგების გაუმჯობესების სტრატეგია საბოლოო შეფასების მიღებამდე. სისტემა ასევე გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო საშუალება აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ასევე მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით დეპარტამენტი მხარს უჭერს კურიკულუმის მიღმა აქტივობების განხორციელებას, კერძოდ, სპორტულ, სახელოვნებო და შემეცნებით მიმართულებებით სტუდენტურ ინიციატივებს, ღონისძიებებს, უკეთებს ორგანიზებას სტუდენტებისათვის შემეცნებით ღონისძიებებს, ღია ლექციებს და საჯარო დისკუსიებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ელექტრონული ფოსტითა და „არგუსის“ მეშვეობით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და უნივერსიტეტისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ. უსდ სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებს პროექტების განხორციელებაში ან/და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. აგრეთვე უსდ-ში წარჩინებული სტუდენტებისთვის არსებობს სასწავლო სტიპენდიის მოპოვებისა და საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა

და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი სტუდენტებს სთავაზობს კარიერული განვითარების სერვისს, მათ შორის დასაქმების ფორუმებსა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსებს.

სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ რჩევა, როგორც მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მიიღონ უკუკავშირი წერილობითი ნაშრომის შესახებ. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus +) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულის ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისებს: უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდის, „არგუსის“, ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, მართავს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას, გამარჯვებული სტუდენტებისთვის მართავს გამგზავრების-წინა საორიენტაციო შეხვედრებს. უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური წერილების მომზადებას და სტუდენტთა სავიზო განაცხადების მხარდაჭერას, ასევე ფაკულტეტებთან და სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზებას როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ამასთანავე, საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სტაჟირებები, ა.შ.), აგრეთვე უსდ-ში არსებობს საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების მექანიზმი.

სტუდენტზე ორიენტირებული სხვადასხვა სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს სერვისების კვლევებს. კვლევის ანგარიშები ეგზავნება შესაბამის სამსახურებს საქმიანობის შემდგომი ეფექტური დაგეგმვისთვის, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში. მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ სასწავლო პროცესის სადამოს საათებში წარმართვით, რაც შესაძლებელს ხდის დასაქმებისა და სწავლის შეთავსებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>○ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება;</li> <li>○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის კოორდინატორის სამუშაოს აღწერილობა.</li> <li>○ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია 2008 წლის 24 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №24-ე ოქმით);</li> <li>○ საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება;</li> <li>○ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;</li> <li>○ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი;</li> <li>○ თვითშეფასების დოკუმენტი;</li> <li>○ უნივერსიტეტის ვებგვერდი;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები;</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> -
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> -
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> -
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> -
<b>შეფასება</b> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებაში/დარგში დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება ან პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა); შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული აქვს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია; შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემაჯავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს საკვლევ თემას და თემის შესაბამისად ხელმძღვანელს, თუმცა კონცეფციაში არაა აღნიშნული თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა უფლებამოსილმა პირმა.

ამასთან, მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, კვლევის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის შერჩევაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომების შესწავლამ აჩვენა, რომ ნაშრომები გარკვეულ სტრუქტურულ ხარვეზებს შეიცავს, რის გამოც **სასურველია**, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას და გაფორმებას, განსაკუთრებით ციტირების უნიფიცირებული სტილის დაცვის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო კვლევების მიზნებისთვის სტუდენტს შეუძლია გამოიყენოს უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტები და ბაზები, კერძოდ, „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი“ და მისი სადგურების ქსელი, „კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრი“, ასევე, გარემოს კვლევის კომპლექსური ლაბორატორია, გრუნტების ლაბორატორია და საქართველოს რეგიონებში წარმოდგენილი ბაზების (საველე სტაციონარები სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში), სამეცნიერო გემის „წმინდა ილია“ ტექნიკური რესურსი. მონაცემთა დამუშავების მიზნით, სტუდენტს შეუძლია უნივერსიტეტის გამოთვლითი ცენტრის რესურსის გამოყენება.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან და ინტენსიურად მუშაობს ნაშრომის მომზადებაზე, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და

სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას და გაფორმებას, განსაკუთრებით ციტირების უნიფიცირებული სტილის დაცვის მიმართულებით.
- სასურველია დადგინდეს თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა უფლებამოსილმა პირმა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

--

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1 ადამიანური რესურსი**

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულები არიან უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები წარმოადგენენ დარგში მოწინავე მეცნიერებს, რომლებიც კვლევითი და აკადემიური საქმიანობის გარდა, საექსპერტო მომსახურებებს ეწევიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამით შეთავაზებული შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში დასტურდება მათი კვალიფიკაციით და ბოლო 5 წლის მანძილზე



გამოქვეყნებული შრომებით, ხოლო მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში კი - მათი კვალიფიკაციითა და გამოქვეყნებული შრომებით. პერსონალი აღჭურვილია უახლესი ცოდნით და აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში, მონაწილეობს სამეცნიერო ღონისძიებებში, ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებში. აკადემიური პერსონალის აღნიშნული ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო გარემოს, კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს აშშ-ის კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებში მიღებულ გამოცდილებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი პროფილი და მიღწევები იძლევა მაგისტრანტების ეფექტური ხელმძღვანელობის შესაძლებლობას და სამაგისტრო კვლევების წარმოებას დედამის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში აქტუალური პრობლემების კომპლექსური შესწავლისთვის.

სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვასთან დაკავშირებით. სწავლების გარდა, სწავლებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში.

პროგრამას ანხორციელებს 9 აკადემიური და 11 მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიური პერსონალიდან 5 პროფესორია, 4 - ასოცირებული პროფესორი. უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (9/11), ასევე აკადემიურ, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (20/23) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი არის მულტიდისციპლინური, მრავალმხრივი სამეცნიერო-პრაქტიკული და 15 წელზე მეტი სწავლების გამოცდილების მქონე დარგის მკვლევარი და ექსპერტი. ის არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი.

პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესს. ხელმძღვანელი ასევე ჩართული არის პროგრამის განხორციელების შეფასებაში პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამის ხელმძღვანელი შეიმუშავებს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა, ჩართულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი - ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კურიკულუმის ექსპერტი და კოორდინატორი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვას. პროგრამის განხორციელებასა და

ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით. უნივერსიტეტში ლაბორატორიული უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებს ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს რეკრუტირებულ პერსონალს შესაბამისი სახის ტრენინგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა
- ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია
- ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტის დებულება
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები
- გამოცხადებული კონკურსები <https://iliauni.edu.ge/ge/siaxeebi-8/vakansiebi/dasaqmebailiaunishi>
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისათვის.

უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრები, მათ შორის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში; აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებთან კოლაბორაციაში ახორციელებენ სამეცნიერო პროექტებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS+ პროექტის PRINTeL მხარდაჭერით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს

ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას. განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევარებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. განვითარების სამსახური სთავაზობს მხარდაჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევარებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევარებისა და პროფესორების მობილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- გაცვლითი პროგრამები:  
<https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvlitiprogramebi>
- განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები
- სერვისებით კმაყოფილების კვლევა
- კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი
- კვლევითი ინსტიტუტების დებულებები
- პასკალის პრემია - <https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/projects/paskalis-premia>
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან

**რეკომენდაციები:**

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით (მათ შორის, ლაბორატორიებით); სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის“, „კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრის“ ლაბორატორიებისა და ტექნოლოგიების სკოლის რესურსებთან და აპარატურასთან; ასევე შეუძლიათ გამოიყენონ საველე სტაციონარები სტეფანწმინდაში, დედოფლისწყაროში და გრიგოლეთში; სამეცნიერო გემი „წმინდა ილია“.</p> <p>უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით, ასევე უზრუნველყოფს საველე გასვლებს ტრანსპორტით და ბაზებზე განთავსებით. უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ერთეულების აღჭურვილობის მოდერნიზაციის მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს ინსტიტუციური განვითარების პროექტების კონკურსს. ასევე, საწარმოო პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას აგრეთვე, გამოიყენება პარტნიორი ორგანიზაციების (შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი,</p>

კერძო მრავალ პროფილური საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) რესურსიც.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს: სამკითხველო დარბაზებს; ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; კომპიუტერულ რესურსცენტრებს; შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს; წიგნსაცავებს და სხვა. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხდება სასწავლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის იდენტიფიცირება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში. ბიბლიოთეკა ასევე უზრუნველყოფს საკითხავი მასალის “რიდერის” დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული - შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი. რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძველზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. თუმცა, პროგრამის სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა ნაკლებადაა წარმოდგენილი ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით, სასწავლო კურსებით და რიდერებით. ამიტომ სასურველია პროგრამამ გააგრძელოს ძალისხმევა ქართულენოვანი ლიტერატურის შესაქმნელად.

ინტერაქციის მნიშვნელოვან ფორმას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის “არგუსის” გამოყენება. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუს”-ი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაა, რომელზეც სტუდენტი სწავლის დაწყებისთანავე რეგისტრდება. სტუდენტი სასწავლო პროცესს გეგმავს არგუსის საშუალებით. არგუსი ეხმარება სტუდენტს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან, უნივერსიტეტის სამსახურებთან კომუნიკაციაში, სასწავლო ცხრილის შედგენასა და სწავლის მიღწევების შესახებ ინფორმირებაში.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ელექტრონული პორტალი “elearning” და პროგრამა TURNITIN, ასევე, (სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა ArcGIS,

MICROMINE და სხვ.). უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი"
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <http://library.iliauni.edu.ge/>
- ელექტრონული სწავლების პორტალი: <http://elearning.iliauni.edu.ge/>, Turnitin
- მემორანდუმები და მხარდაჭერის წერილი პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები
- სერვისების შეფასების კვლევა
- კვლევითი ინსტიტუტების (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრის) დოკუმენტები
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია პროგრამისთვის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების მომზადება-განახლება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას. პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ინსტიტუტების (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს კვლევის ცენტრი), და ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა.

პროგრამაში ჩართული პროფესორები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელი საველე გასვლების და ხარჯვადი მასალის შექმნა გათვალისწინებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტში. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:-**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**



ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსაკვირვებლად.

#### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეაკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები** შედარება აკრედიტაციის სტანდარტებთან განხორციელდა აკრედიტაციის ახლი სტანდარტების პირობებში დისტანციურ რეჟიმში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი და დაცული იყო ვიზიტით გათვლილი ყველა ეტაპი, შეხვედრა წარმართა საქმიან და აკადემიურ ვითარებაში.

აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლეს გამოწვევებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას გეგმავს და წარმართავს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები. სამსახურის მიერ წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მომზადებულია და დაინტერესებულ პირთათვის შეთავაზებულია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და

პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი ნორმები და რეგულაციები, რაც თავის მხრივ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეყრდნობა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკას, საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და ის მუდმივი და აქტიური ქმედებით მარს უჭერს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას, არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს ყველა მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს საუნივერსიტეტო სივრცეში. მას დეტალურად აქვს გათვლილი ინსტიტუციური მართვის ყოველი პოზიცია, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესს, გეგმავს, აახლებს, ანვითარებს და აზიარებს სიახლეებსა და ინოვაციებს, რომელიც მკვიდრდება არამარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. გამომდინარე საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან ის ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს, ავითარებს მათ და მხარს უჭერს დაწესებულებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს გაწერილი და დარეგულირებული საკუთარი ქმედებისა და საქმიანობის სფეროები და არეალი, რაც ექსპერტთათვის ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი წესებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამით კმაყოფილების დებულება;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშების წესი.

მოცემული დოკუმენტების შემუშავება მოხდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან (დასავლეთ ავსტრალიის, კონექტიკუტის, დასავლეთ მიჩიგანის, ოსლოს, ბოსტონის, სამხრეთ კალიფორნიის იუესსის (USC), მელბურნის, პენ სტეიტის უნივერსიტეტებში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები). საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ უცხოელი პარტნიორები, რაც დადასტურდა ინტერვიუების შემდგომ. თუმცა სასურველი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელს წარმოედგინა სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტების

განახლება ხდება პერიოდულად მიმდინარე სიახლეებისა (როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი.

სამსახური მუშაობს პრინციპით: **დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე.**

შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს კვლევებს, ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგს, აანალიზებს კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს და გაანალიზებული ინფორმაციის გაზიარება ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კვლევის შედეგებს (მათ შორის ბაზრის კვლევის.), ითვალისწინებენ პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და იხილავს არამარტო კვლევის შედეგებსა და მათ გაუმჯობესების საკითხებს, არამედ სამსახურთან ერთად იგეგმება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას. გარდა ამისა ის უზრუნველყოფს არაერთი საუნივერსიტეტო პროცესის მხარდაჭრას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- კვლევის ინსტრუმენტები
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რათა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპზე, პროგრამის განმახორციელებლებისთვის ცნობილი გახდეს მისი თანხვედრა და აქტუალობა დარგის თანამედროვე სტანდარტებთან.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების ფარგლებში, როგორცაა ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მოსამზადებელი ფაზების ზუსტად და მიზნობრივად ჩამოყალიბების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსხვავებულ ინსტრუმენტებს იყენებს. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები დეტალურად ანალიზდება და განიხილება პროგრამის განმახორციელებელი და პროგრამით დაინტერესებული მხარეების მიერ და შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში. რეაკრედიტაციის მიზნით განახლებულ პროგრამაში ასახვა ჰპოვა, არამხოლოდ შეფასების გარკვეულმა ნაწილმა, არამედ ის მისადაგებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ წაყენებულ ახალ მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში განმახორციელებელი პირები შეეცადნენ, გარე შეფასების სხვა მექანიზმებიც აემუშავებინათ საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო კონცეფციის წარმოდგენამდე. გარე შეფასების აქტივობებიდან უნდა დასახელდეს ასევე დამსაქმებელთა კონკრეტული პოზიციები, რომელშიც ნათლად ჩანს დამსაქმებელთა დაინტერესება საგანმანათლებლო პროგრამისადმი. გამოკითხვების შედეგები მიეწოდა პროგრამის განმახორციელებელ პირებს, შედგა შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და განხილულ იქნა ცალკეული რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფებში.

პერიოდულად პროგრამის განმახორციელებელი პირები რეკომენდაციებსა და რჩევებს დებულობდნენ უცხოელი კოლეგებისაგან. პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა საგანმანათლებლო პროგრამა გარე შეფასების ფორმატში შეაფასებინეს ბრიჯვეიტერის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის ასოც. პროფ. ქრიტინე ბრანდონს. შეფასების დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ ავტორს დეტალურად აქვს შესწავლილი პროგრამის დეტალები, მათ შორის ის ხაზგასმით დეტალურად იცნობს არამხოლოდ პროგრამის შინაარსს, არამედ მისი პრაქტიკის დეტალებსა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკის არსებობას საგანმანათლებლო პროგრამაში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება
- საგანმანათლებლო პროგრამის ბაზარზე მოთხოვნის ანალიზი
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

<b>რეკომენდაციები:</b>
-
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
-
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
-
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
-
<b>შეფასება</b>
<p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში ილიას საელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეალურ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია ასევე შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელიც უშვებს შიდა და გარე აქტორების მონაწილეობას შეფასების (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების) პროცესში, შეფასების შედეგების გამოყენება ხდება როგორც სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის, ისე უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.</p> <p>შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განიხილავს რამდენიმე პრინციპულ მიდგომას მონიტორინგის პროცესში, კონკრეტულად კი, მონიტორინგის ფარგლებში აქტივობები არის გამჭვირვალე, გაზიარებული, მხარეთა აქტიური ჩართულობით, განგრძობითი, დამყარებული აკადემიურ კეთილსინდისეობასა და თავისუფლებაზე, დაფარული ანგარიშვალდებულებით.</p> <p>რაც შეეხება ინსტიტუციაში მიმდინარე პერმანენტულ კვლევებს/შეფასებებს, რომლებიც</p>

აგებულია თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მიდგომებზე და ითვალისწინებს შემდეგ სტანდარტებს:

- გამოყენებაზე და საჭიროებაზე ორიენტირებულობა;
- რეალისტური, ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებადობა;
- ეთიკურობა;
- სიზუსტე, მართებულობა;
- ანგარიშვალდებულება.

მოცემულ სტანდარტებსა და სისტემურობაზე დამყარებული პროცესები იძლევა ლონგიტუდური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

პროგრამის პრობლემატიკის კონკრეტული კვლევების განხორციელება ხდება მიზნობრივად საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების საფუძველზე. წინამდებარე კვლევები შეიძლება გამოიწვიოს შემდეგმა თემებმა: დაბალი აკადემიური მოსწრება, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საჭიროებების კვლევა და ა.შ.

წინამდებარე კვლევების პროცესი ეფუძნება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს, რაც ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ან ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით.

კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებულია როგორც პროგრამის განხორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
  - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის ანგარიშები
  - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
  - პროგრამის განხორციელების შეფასების წესი
  - ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

შალვა კელეპტრიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნინო ქიმერიძე



მალხაზ ღვინჯილია



გიორგი ბრეგვაძე



ნიკა გიგაური

